

## ბუნებრივი საფრთხეები - აზბესტი XXI საუკუნის პრობლემა

*ილია კალანდაძე*

ელ.ფოსტა: [ilia.kalandadze@ens.tsu.edu.ge](mailto:ilia.kalandadze@ens.tsu.edu.ge);

გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი  
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ი. ჭავჭავაძის გამზ. 1 0179 თბილისი, საქართველო

თანამედროვე ურბანული განვითარების ეპოქაში მოსახლეობის მზარდი სოციალურ-ეკონომიკური მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის ინტენსიურად ხდება როგორც ბუნებრივი ის ხელოვნური მასალების გამოყენება, რომლებიც მეტნაკლებად საფრთხეს უქმნიან ადამიანთა ჯანმრთელობას. მათ რიცხვს მიეკუთვნება აზბესტი - ბოჭკოვანი მინერალი. იგი არ ატარებს სითბოს და ელექტრობას, არის ცეცხლგამზლე და საიზოლაციო საშუალება და მისი ამ თვისებების გამო ფართოდ გამოიყენება მოსაპირკეთებელი მასალების, სახურავი ფილების, სასმელი წყლისა და კანალიზაციის მილების; სხვადასხვა სახეობის სამრეწველო და საშინაო იატაკის საფარების; ტიხრების, საღებავების, სხვა მასალების საწარმოებლად. მრეწველობაში ყველაზე ფართოდ გავრცელებული აზბესტის სახეობები კროკიდილიტი (ლურჯი აზბესტი) და ამოზიტი (ყავისფერი აზბესტი) მიეკუთვნებიან აზბესტის ყველაზე საშიში სახეობის ამფიბოლის ჯგუფს.

სწორედ ამიტომაც 2004 წელს სოციალური დაცვის საერთაშორისო ასოციაციის (ISSA) გენერალურ ასამბლეაზე მიღებული იქნა დეკლარაცია აზბესტის შესახებ, რომელიც ყველა სახელმწიფოსგან ნებისმიერი სახის აზბესტის ან მისი შემცველი მასალის წარმოების, ვაჭრობის და გამოყენების აკრძალვას მოითხოვდა. მიუხედავად ამისა, ყოველწლიურად 2 მილიონ ტონაზე მეტი აზბესტი იწარმოება. ამდენად, აზბესტის წარმოების და მისი გამოყენების მაჩვენებელმა კვლავ დაიწყო ზრდა. აზბესტის წარმოების მთავარ ქვეყნებად სხვა მწარმოებელ ქვეყნებთან ერთად ითვლებიან ისეთი სახელმწიფოები როგორცაა: კანადა, ბრაზილია, ჩინეთი და რუსეთი.

მეტად რთული და პრობლემატურია ის საკითხები რაც დაკავშირებული აზბესტის გამოყენებასთან ეს არის ერთმანეთთან დაკავშირებული მრავალი საკითხის რთული ჯაჭვი დაწყებული ეკონომიკითა და საამშენებლო ინდუსტრიით და დამთავრებული ადამიანის ჯანმრთელობით. მიზანი კი ერთია მაქსიმალურად მინიმუმზეებული იქნეს აზბესტის მოხმარება და მის შესაცვლად პრაქტიკაში დაინერგოს ალტერნატიული გადაწყვეტილებები მოსახლეობის უსაფრთხო გარემოს შენარჩუნების მიზნით.